შემთხვევის ადგილის დათვალიერების ფსიქოლოგიური ასპექტები

ნინო გოგნიაშვილი, ასოცირებული პროფესორი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: https://doi.org/10.52340/spectri.2025.11.01.10

აბსტრაქტი

დანაშაულის გამოძიებისა და გახსნისათვის მნიშვნელოვანია საგამოძიებო მოქმედებების სრულფასოვნად და ამომწურავად ჩატარება. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი შემთხვევის ადგილის დათვალიერებას უკავია. ნაშრომში განხილულია შემთხვევის ადგილის დათვალიერებასთან დაკავშირებული ის ფსიქოლოგიური ასპექტები, რომლებიც გავლენას ახდენს დათვალიერების პროცესზე. გაანალიზებულია დათვალიერების პროცესში ჩართული რთული ფსიქოლოგიური პროცესები და მათი ურთიერთკავშირი, ასევე შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს წარმოქმნილი ურთიერთქმედებები და რეფლექსურ აზროვნებასთან და მის მნიშვნელობასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები.

საკვანძო სიტყვები: შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ფსიქოლოგიური პროცესები;

Psychological Aspects of Crime Scene Examination

Nino Gogniashvili, Associate Professor

David Agmashenebeli University of Georgia, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

For the investigation and resolution of a crime, it is important to conduct investigative actions in a full and comprehensive manner. Among them, a special place is occupied by the examination of the crime scene. The paper discusses the psychological aspects related to the examination of the crime scene that affect the examination process. The complex psychological processes involved in the examination process and their interrelationships are analyzed, as well as the interactions that occur during the examination of the crime scene and a number of issues related to reflective thinking and its importance.

Keywords: examination of the crime scene, psychological processes;

შესავალი

შემთხვევის ადგილის დათვალიერება ერთ-ერთი პირველდაწყებითი და გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებაა, რომლის სრულფასოვან ჩატარებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დანაშაულის გამოძიება და გახსნა. შემთხვევის ადგილის დათვალიერების პროცესში გასათვალისწინებელია მთელი

რიგი ტექნიკური და ტაქტიკური ხასიათის თავისებურებები, რათა აღმოჩენილი, დადგენილი და გამოკვლეული იქნეს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გარემოებები. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შემთხვევის ადგილის დათვალიერების ფსიქოლოგიასაც რაც მნიშვნელოვან დახმარებას უწევს საგამოძიებო ორგანოს, მთელი რიგი საკითხების უკეთ აღქმასა და გაანალიზებაში.

1.შემთხვევის ადგილის დათვალიერების ფსიქოლოგია

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, შემთხვევის ადგილის დათვალიერება განისაზღვრება, როგორც ინფორმაციის შეგროვების პროცესი დანაშაულებრივ ფაქტთან დაკავშირებით და ხორციელდება აქტიური, მიზანმიმართული აღქმის, მიღებული ინფორმაციის ანალიზისა და სინთეზის გზით, იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა გააჩნიათ სისხლის სამართლის საქმისთვის (9). შემთხვევის ადგილის დათვალიერების ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დათვალიერებაში მონაწილე პირის, გამომძიებლის პიროვნულ მახასიათებლებზე: მის ზოგადსა და პროფესიულ უნარებზე, დაკვირვების უნარზე, ყურადღების კონცენტრაციის შესაძლებლობაზე, ემოციურ-ნებელობით თვისებებზე, ინტელექტუალურ მონაცემებსა და სხვა ინდივიდუალურ მახასიათებლებზე. ასევე არსებითია, თუ რამდენად ფლობს იგი ცოდნას საკუთარი ფსიქიკური შესაძლებლობების, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, შეუძლია თუ არა გააქტიუროს ფსიქიკური რესურსების ძლიერი მხარეები და მინიმუმამდე დაიყვანოს სუსტი მხარეების გავლენა.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებაც, ისევე, როგორც ნებისმიერი საქმიანობა მოიცავს გარკვეულ ფსიქოლოგიურ სტრუქტურას. მას ახასიათებს შემეცნებითი, კონსტრუქციული, ორგანიზაციული, კომუნიკაციური კომპონენტები. შესაბამისად, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ფსიქოლოგიას განიხილავენ როგორც ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთშეთანხმებული ფსიქოლოგიური პროცესების კომპლექსს, რომელიც ერთის მხრივ ახასიათებს დამნაშავეს დანაშაულის ჩადენისას, ხოლო მეორეს მხრივ — გამომძიებელს შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას (6).

ფსიქოლოგიური პროცესების კომპლექსი უკიდურესად რთული ხასიათისაა. ეს აიხსნება იმ სირთულეებით, რომლებიც დაკავშირებულია „კვალის წარმოქმნის'' პროცესთან და გამოწვეულია შემთხვევის ადგილის გავლენით დამნაშავეზე და დამნაშავის ზემოქმედებით შემთხვევის ადგილზე, აგრეთვე დაზარალებულთა ფსიქიკური მდგომარეობის გავლენით შემთხვევის ადგილის მთლიან სურათზე. აღნიშნული კომპლექსების სირთულე ასევე განპირობებულია გამომძიებლის პირადი ფსიქიკური დამოკიდებულებით შემთხვევის ადგილის გარემოსა და მასში მონაწილე პირების მიმართ; ასევე — აუცილებლობით, გამოიჩინოს ნებელობითი ძალისხმევა, კონცენტრირებული ყურადღება, დაკვირვებისა და ადაპტაციის უნარი შემთხვევის ადგილზე. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა დათვალიერების მოულოდნელობა, სიტუაციის გაურკვევლობა, უჩვეულო და ზოგჯერ არასახარბიელო პირობები შემთხვევის ადგილზე და სხვ.

დათვალიერების პროცესში გამომძიებლის ფსიქიკა მკვეთრად იტვირთება, რაც განპირობებულია შემთხვევის ადგილზე მოულოდნელი გასვლით, საგამოძიებო სიტუაციის გაურკვევლობით, უჩვეულო გარემოებებითა და არასახარბიელო პირობებით, რომლებიც აფერხებენ დათვალიერების მონაწილეთა საქმიანობას. განსაკუთრებული ფსიქიკური დატვირთვის ძირითადი მიზეზებია: ინფორმაციის დეფიციტი მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით და ამასთან დაკავშირებული ნებელობითი და

ინტელექტუალური ძალისხმევა, რათა გამომძიებელმა გამოავლინოს და მოაგროვოს დანაშაულებრივი მოვლენის მოტივებსა და მექანიზმზე, მის მონაწილეებსა და სხვა არსებით გარემოებებზე საჭირო მონაცემები. ამ მიზნების მიღწევის პროცესში წამყვან როლს ასრულებს გამომძიებლის საძიებო და რეკონსტრუქციული საქმიანობა, რომლებიც ურთიერთშეთანხმებულად მიმდინარეობს. საძიებო საქმიანობა უმთავრესად ხორციელდება აღქმისა და ყურადღების ფსიქოლოგიური პროცესების მეშვეობით, ხოლო რეკონსტრუქციული — აზროვნებისა და წარმოსახვის საშუალებით. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას აღქმულს ავსებს წარმოდგენები და წარმოსახვა; მიღებული ინფორმაცია გააზრებულია, დამახსოვრებული და იწვევს გარკვეულ ემოციურ დამოკიდებულებას. აღნიშნული ფსიქიკური პროცესები თან ახლავს ნებელობით ძალისხმევას. თუმცა ყოველი საგამოძიებო ქმედებისა და კონკრეტული სიტუაციის დროს „დატვირთვა“ განსხვავებულად ნაწილდება ფსიქიკის სხვადასხვა კომპონენტზე. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი უკავია აღქმას, ყურადღებას, აზროვნებასა და წარმოსახვას.

შემთხვევის ადგილის შესწავლის ძირითადი მეთოდია მიზანმიმართული, დაგეგმილი და შეგნებული აღქმა, რომლის მეშვეობითაც გამომძიებლის ცნობიერებაში აისახება შემთხვევის ადგილზე არსებული მთელი კომპლექსი — გარემოება, კვალი და სხვა დასაკვირვებელი მოვლენები. ამ მეთოდის საშუალებით გამომძიებელი ადგენს შემთხვევის ადგილის მდებარეობასა და საზღვრებს, ადგენს ობიექტთა მახასიათებლებს და აღრიცხავს მათ შესაძლო გადახრებს ჩვეულებრივი სივრცითი განლაგებისგან (7).

დანაშაულებრივ მოვლენაზე მონაცემთა ძირითადი ნაწილი შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ვიზუალური აღქმით მიიღება. შესაბამისად, დათვალიერების მონაწილეს მოეთხოვება მაქსიმალურად გამოიყენოს აღქმის შესაძლებლობები, უპირველეს ყოვლისა — კვალიფიციურად ორგანიზებული დაკვირვების მეშვეობით. პრაქტიკაში, თუ დათვალიერება ტარდება ღამის საათებში, ის, როგორც წესი, მიმდინარეობს კარგი ხელოვნური განათების პირობებში. თუმცა, მიუხედავად ამისა, საგნები ხშირად განსხვავებულად ჩანს ღამით, ვიდრე დღის განმავლობაში. ამიტომ ზოგიერთ შემთხვევაში რეკომენდებულია შემთხვევის ადგილის განმეორებითი დათვალიერება დღის სინათლეზე. მნიშვნელოვანია, გამომძიებელმა იცოდეს ვიზუალური აღქმის აღნიშნული თავისებურებები და სათანადო პირობების შექმნით მაქსიმალურად გაზარდოს მათი ეფექტიანობა (8).

შესაბამისად, კვალიფიციური დაკვირვება საშუალებას აძლევს გამომძიებელს სწორად გაანალიზოს გარემო, შენიშნოს შემთხვევის ადგილზე არსებითი დეტალები, დაადგინოს ობიექტებსა და მოვლენებს შორის კავშირები, გაიაზროს მიღებული ინფორმაცია და ამის საფუძველზე ჩამოაყალიბოს ვერსიები, გამოყოს მათგან დასკვნები და ლოგიკური თუ პრაქტიკული შემოწმებით დაადასტუროს მათი სისწორე (9).

დაკვირვების მუდმივი პრაქტიკა გამომძიებელში ავითარებს **სისტემურ მიდგომას** ამ ფსიქოლოგიურ პროცესში, აყალიბებს დაკვირვების უნარს — უნარს შეამჩნიოს დამახასიათებელი, თუმცა უმნიშვნელო ნიშნები საგნებსა და მოვლენებში. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ტაქტიკა, როგორც წესი, ეფუძნება „საერთოდან კონკრეტულისკენ“ გადანაცვლების პრინციპს.

აღნიშნულ საქმიანობაში გამომძიებლის ფსიქიკის მრავალი პროცესი მონაწილეობს, თუმცა განსაკუთრებით დატვირთულია **ყურადღება**, რომელიც განისაზღვრება როგორც ადამიანის ცნობიერების მიმართება კონკრეტული საგნებისა და მოვლენებისკენ, დანარჩენი გარემოებების იგნორირების პარალელურად (16).

ყურადღების ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა მოცულობა, კონცენტრაცია და განაწილება, ქმნის წინაპირობას იმისთვის, რომ შემთხვევის ადგილის დამთვალიერებელმა შეძლოს ერთდროულად რამდენიმე ობიექტის დაფიქსირება, ერთი საგნის დათვალიერების შემდეგ სწრაფად გადაერთოს მეორეზე, და საჭიროებისამებრ კონცენტრირდეს კონკრეტულ დეტალზე. ამგვარად, შემთხვევის ადგილზე ორიენტირებისას ძირითადად ვლინდება **ყურადღების მოცულობა**, საერთო გარემოს შესწავლისას — **ყურადღების გადართვა**, დეტალების ანალიზისას კი დომინირებს **კონცენტრაცია და განაწილება**.

ყურადღების კონცენტრაციას გარკვეულ დეტალებზე გააჩნიათ კანონზომიერებები. ამ კანონზომიერებების ცოდნა და საკუთარი ფსიქიკის შესაძლებლობების გათვალისწინება საშუალებას აძლევს შემთხვევის ადგილის დამთვალიერებელს ეფექტიანად განახორციელოს ეს საგამოძიებო მოქმედება. ცნობილია, რომ დათვალიერებისას გამომძიებელს უწევს ერთდროულად რამდენიმე ობიექტის — მთლიანად გარემოს, მისი კონკრეტული ნაწილის ან საგნის, ასევე დათვალიერების სხვა მონაწილეთა ქმედებების — ერთდროული ფიქსირება. ასეთ პირობებში აუცილებელია გამომძიებელმა იცოდეს საკუთარი ყურადღების შესაძლებლობების ზღვარი. არ არის მიზანშეწონილი ერთდროულად ზედმეტად ბევრი ობიექტის დაკვირვება, ვინაიდან ეს ზრდის მნიშვნელოვანი დეტალების გამოტოვების რისკს. უფრო რაციონალურია ობიექტის დაყოფა მონაკვეთებად და მათი დათვალიერების პროცესში ოპერატიული ჯგუფის სპეციალისტების ჩართვა (17).

ყურადღების სწორად განაწილება ნიშნავს იმას, რომ გამომძიებელი, რომელიც ცნობიერად ერთ საქმიანობაშია ჩართული, ნაწილობრივ რესურსს სხვა საქმიანობასაც უთმობს. შესაბამისად, სხვადასხვა მოქმედებისთვის მზადებისას საჭიროა მათგან ძირითადი ქმედება მოითხოვდეს გაცილებით მაღალ ცნობიერ ჩართულობას, დანარჩენები კი შესრულდეს შედარებით ავტომატიზებულად. გამოცდილებით დადგენილია, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერების პროცესში სხვადასხვა სახის საქმიანობა განსხვავებულად „ტვირთავს“ გამომძიებლის ყურადღებას. შედარებით ნაკლები დატვირთვა შეინიშნება, მაგალითად, ტანსაცმლის საგნების გამოკვლევისას ან კვალის შესწავლისას იდენტიფიცირების ნიშნების დასადგენად, ხოლო მაქსიმალური — დოკუმენტებისა და სხვადასხვა ჩანაწერის კვლევისას (8).

შემთხვევის ადგილის დამთვალიერებლის ფსიქიკა საკმაოდ დაძაბულ მდგომარეობაშია. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ინფორმაციის დეფიციტია დანაშაულებრივ მოვლენასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევის ადგილზე მრავალფეროვანი ინფორმაცია მოიპოვება, მისი დიდი ნაწილი უშუალოდ არ უკავშირდება მომხდარს და ვერ გამოიყენება გამოძიების პროცესში. ადგილზე აღმოჩენილი საგნების და მოვლენების არსებითი ნიშნები, მათ შორის კავშირები დანაშაულებრივ ფაქტთან, განისაზღვრება აზროვნების მეშვეობით. აზროვნება წარმოადგენს ადამიანის ცნობიერებაში საგნებისა და მოვლენების საერთო თვისებების, მათ შორის კავშირებისა და ურთიერთობების ასახვის პროცესს (18). სწორედ აზროვნება წარმოადგენს შემთხვევის ადგილის დამთვალიერებელი გამომძიებლის რეკონსტრუქციული საქმიანობის საფუძველს.

აზროვნების პროცესში ხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებები ობიექტური კავშირებისა და დამოკიდებულებების გამოსავლენად. ყოველი მოსაზრება არსებითად წარმოადგენს გარკვეული სირთულის ამოცანის გადაჭრის გზას და საშუალებას. მსგავს ამოცანებს წყვეტს შემთხვევის ადგილის დამთვალიერებელიც. ინფორმაციის მოცულობის მიხედვით შესაძლებელია ამოცანების დაყოფა მარტივ და რთულ კატეგორიებად. მარტივ ამოცანებად მიიჩნევა ის, რომლის გადასაჭრელად გამომძიებელს გააჩნია საკმარისი მონაცემები, იცის შესრულების გზა და პროგნოზირებს შედეგს. ასეთ

შემთხვევაში მას მხოლოდ ნაწილობრივი საკითხების დაზუსტება და მონაცემების სისტემატიზება რჩება, რათა მიიღოს სარწმუნო პასუხი. მსგავსი ამოცანები, როგორც წესი, წყდება ალგორითმული მეთოდებით — ანუ ფიქსირებული ინსტრუქციების მეშვეობით, თუ რა მოქმედებები და რა თანმიმდევრობით უნდა შესრულდეს (17). ალგორითმული გადაჭრის გზები სხვადასხვაა: ლოგიკური მსჯელობა, კლასიფიკაცია და ვარიანტების გადამოწმება ან მარტივი მათემატიკური გაანგარიშება.

ინფორმაციის მწვავე დეფიციტის პირობებში შემთხვევის ადგილზე გამომძიებელში აქტიურად ვლინდება წარმოსახვის ფსიქიკური პროცესი. ადამიანის ფსიქოლოგიას გააჩნია უნარი წარსულ აღქმებსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაყრდნობით აღადგინოს სხვადასხვა საგნისა და მოვლენის სახეები. შესაბამისად, დანაშაულებრივ მოვლენაზე დაკარგული ინფორმაციის ნაწილი ივსება იმ წარმოდგენებით, რომლებიც გამომძიებლის ცნობიერებაში წარმოსახვის მეშვეობით ყალიბდება და ეხმარება მას დანაშაულებრივი მოვლენის მთლიანი სურათის წარმოდგენაში (9).

წარმოსახვის სახეობები მრავალფეროვანია. საგნისა და მოვლენის ფორმირებაში რომელიმე გრძნობის ორგანოს დომინირების მიხედვით განასხვავებენ ვიზუალურ, სმენითა და სხვა სახის წარმოსახვებს. საქმიანობის მიზნისა და ნებისა ჩართულობის მიხედვით — ნებაყოფლობითსა და უნებლიეს, აქტიურსა და პასიურს. ასევე, თუ არსებობს აუცილებლობა ინფორმაციის შესახებ გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად, წარმოიშობა აღდგენითი ან შემოქმედებითი წარმოსახვა. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას გამომძიებლის ფსიქიკაში დომინირებს ვიზუალური, ნებაყოფლობითი, აღდგენითი და შემოქმედებითი წარმოსახვა, ვინაიდან იგი გამოდის და წარმართულია უშუალოდ მის წინაშე მდგარი ამოცანითა და მისი შესრულებისთვის საჭირო ნებელობითი ძალისხმევით. შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი კვალი წარმოადგენს საწყის მასალას, რომლის საფუძველზეც აღდგება დანაშაულებრივი მოვლენის სურათი. წარსული აღქმების რთული კომბინაციები, რომლებიც გარკვეულ მსგავსებას ატარებენ მიმდინარე მოვლენასთან, ეხმარებიან გამომძიებელს შეავსოს შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას მიღებული ინფორმაციის ხარვეზები და შედარებით სრული სახით აღიქვას დანაშაულებრივი მოვლენის მთლიანობა (13).

შემთხვევის ადგილის დათვალიერების პროცესში ძირითადად მოქმედებს აღქმა, ყურადღება, აზროვნება და წარმოსახვა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ფსიქიკის სხვა კომპონენტები — პროცესები, მდგომარეობები და თვისებები — არ ვლინდებიან. ფსიქიკა ერთი მთლიანობაა, რის გამოც მისი ყველა ელემენტი მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. აზროვნება ორგანულადაა დაკავშირებული წარმოსახვასთან, მეხსიერებასთან, გრძნობებთან, ინტერესებთან, ტემპერამენტთან, ხასიათსა და ნებასთან. აზროვნების პროცესში ადამიანი ეყრდნობა მეხსიერებაში შენახულ ცოდნასა წარმოდგენებს; გრძნობები აზროვნებას აქტიურობას სძენს; ინტერესები, ტემპერამენტისა და ხასიათის თავისებურებები უნიკალურობას ანიჭებს გონებრივ საქმიანობას, ხოლო ნება უზრუნველყოფს აზროვნების მიზანმიმართულობასა და ინტენსივობას (14).

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ტაქტიკური ხერხების გამოყენება მოითხოვს მათ ფსიქოლოგიურ მექანიზმთა ცოდნას. აღნიშნული ხორციელდება გამომძიებლისა და დანაშაულის ჩამდენი პირის (ან სხვა მონაწილეთა), ასევე გამომძიებლისა და ნივთიერი მტკიცებულებების ურთიერთქმედების პროცესში. აქედან გამომდინარე, განირჩევა ორი სახის ურთიერთქმედება: უშუალო, რომელიც გულისხმობს გავლენას დამნაშავესა თუ სხვა პირებზე (მოწმეებზე, დაზარალებულებზე, დათვალიერების მონაწილეებზე და სხვ.); და ირიბი, როდესაც გამომძიებელი ნივთიერი ობიექტების საშუალებით იღებს ინფორმაციას დამნაშავის ქმედებებზე. ფსიქოლოგიაში

ურთიერთქმედება განისაზღვრება როგორც ობიექტთა (სუბიექტთა) პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენის პროცესი, რომელიც წარმოშობს მათ ურთიერთდამოკიდებულებასა და კავშირს (16).

საქმეში ჩართული პირების საქმიანობის შეხება, სიცრუის გამოვლენა და მხილება, შესაძლო წინააღმდეგობის პრევენცია და არსებული წინააღმდეგობების დაძლევა განაპირობებს გამომძიებლის მხრიდან შესაბამის ზემოქმედებას, რომელიც უნდა განხორციელდეს კანონით დადგენილი ჩარჩოებისა და საშუალებების ფარგლებში. ეტიმოლოგიურად „ზემოქმედება“ განისაზღვრება როგორც „მოქმედება, მიმართული ვინმესადმი ან რამისადმი გარკვეული მიზნის მისაღწევად, რაიმეს შესაგრძნობად“ (15); ფილოსოფიაში — როგორც გარე რეალობის ცვლილების (გარდაქმნის) უნივერსალური ფორმა; ფსიქოლოგიაში კი — როგორც მიზანმიმართული მოძრაობისა და ინფორმაციის გადაცემა ურთიერთქმედების ერთ მონაწილიდან მეორეზე (16).

კრიმინალისტიკაში გაჩნდა მცდელობა განისაზღვროს „ფსიქოლოგიური ზემოქმედების“ ცნება და მისი როლი სასამართლო-საგამოძიებო საქმიანობაში. განვითარების გარკვეულ ეტაპებზე ზოგიერთი ავტორი ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას მიიჩნევდა არალეგალურ, სამართალსა და მორალს შეწინააღმდეგებელ ღონისძიებად; თუმცა, დანაშაულის გამოძიების პროცესში ფსიქოლოგიური ზემოქმედება ყოველთვის არსებობს და მისი გამოყენება არათუ წინააღმდეგობაში არ მოდის კრიმინალისტიკური საქმიანობის ბუნებასთან, არამედ ბუნებრივ ელემენტს წარმოადგენს (12). გამომძიებლის ზემოქმედება საქმის მონაწილეთა ფსიქიკაზე საგამოძიებო ტაქტიკის ერთ-ერთი ელემენტია. გამომძიებელი მუდმივად ახდენს გავლენას ადამიანებზე თავისი სამართლებრივი მითითებებით, საგანმანათლებლო ღონისძიებებითა და იძულების პროცედურული საშუალებებით (17).

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ფსიქოლოგიური ზემოქმედება განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ვლინდება კომუნიკაციის ვერბალური საშუალებების გამოყენებისას: ის იბადება ერთ მონაწილეში და გადაეცემა მეორეს ენის საფუძველზე სიტყვიერი საშუალებებით (სიტყვები, გამონათქვამები და სხვ.), აგრეთვე ექსპრესიულ-ემოციური გამოვლინებებით (მიმიკა, ჟესტიკულაცია, ინტონაციური აქცენტები და სხვ.) (13). გამომძიებლის მეტყველებას ახასიათებს ტაქტიკური ამოცანების ეფექტურად გადაჭრის შესაძლებლობა, ხოლო პარალინგვისტური ნიშნები — ჟესტები, მიმიკა, სხეულის მოძრაობები, ხმოვანი ეფექტები — უწყობს ხელს ინფორმაციის სწორად აღქმას და დამთვალიერებლის ზემოქმედების უზრუნველყოფას.

ტაქტიკური ხერხები, როგორც ფსიქოლოგიური ზემოქმედების მატარებლები, ემსახურებიან პირების ფსიქიკური მდგომარეობის დიაგნოსტიკას, ქმედებების გააქტიურებას გამოძიებისა და სასამართლო განხილვის პროცესში, ქცევის შეცვლას, საჭირო ინფორმაციის მიღებას, აგრეთვე აღზრდასა და განვითარებას. ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოითხოვს მათ ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებას, დინამიკისა და შესაძლო ცვლილებების განსაზღვრას. ზოგიერთ შემთხვევაში აღინიშნება ფსიქიკური აქტივობის აჩქარება, სხვაში კი — შენელება, რაც განაპირობებს პროცესის მიმდინარეობას (10).

გამომძიებელი უნდა ფლობდეს ცოდნას, რომელიც საშუალებას მისცემს ამოიცნოს სხვადასხვა ფსიქიკური მდგომარეობის გამოვლინების ტიპური ნიშნები შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას და შეძლოს მათი პროგნოზირება. თანამედროვე ფსიქოლოგიური ლიტერატურა გვთავაზობს რეკომენდაციებს სხვადასხვა ფსიქიკური მდგომარეობის დიაგნოსტირებისთვის სახის მიმიკის შეფასების გზით (18). ადამიანის მდგომარეობის განსაზღვრა ემყარება ექსპრესიულ გამოვლინებებს —

კომუნიკაციის ყველაზე ინფორმაციულ კომპონენტს, რომელიც საშუალებას იძლევა შეისწავლოს არა მხოლოდ ის დამოკიდებულება, რაც ინდივიდს სურს წარმოაჩინოს, არამედ ისიც, რის დაფარვასაც ცდილობს (4).

შემთხვევის ადგილის დათვალიერება გარკვეულ სირთულეს იძენს არავერბალურ პროცესუალურ მოქმედებაში, როდესაც არ არსებობს უშუალო ურთიერთქმედება გამომძიებელსა და დამნაშავეს ან სხვა პირს შორის. არავერბალური მოქმედებებისას გამომძიებელი აღიქვამს გარემოს, კვალს, საგნებს, ხოლო დანაშაულის მექანიზმის, მონაწილეთა პიროვნული და ფსიქოლოგიური მახასიათებლების დადგენა ხორციელდება გარემოს ცვლილებების შესწავლის საფუძველზე (1). მატერიალურ გარემოში მომხდარი დარღვევების გამოვლენა შესაძლებელია შემთხვევის ადგილის საფუძვლიანი დათვალიერებისას, როდესაც თითოეული ელემენტის განლაგებისა და ურთიერთკავშირის ანალიზი იძლევა საშუალებას დადგინდეს ცვლილებები, რომლებიც წარმოიშვა ამ სტრუქტურის სპეციფიკური კანონზომიერებების საფუძველზე (2).

გამომძიებელი ხშირად ხვდება საგანთა და გარემოებათა ერთობლიობას, რომლებიც სრულად ან ისე არის დაუკავშირებელი ერთმანეთთან, რომ პირდაპირი გზა გამოძიებისთვის არ ჩანს (3). ამ კონტექსტში საინტერესოა „მოცურავი სილუეტის“ კონცეფცია, რომელიც ეფუძნება გამომძიებლის უნარს შემთხვევის ადგილის კვალზე, საგნებსა და გარემოზე დაყრდნობით, გონებრივი წარმოსახვით შექმნას დანაშაულებრივი მოვლენის სურათი. „მოცურავი სილუეტი“ წარმოადგენს მოვლენების, დამნაშავისა და დაზარალებულის ურთიერთქმედების, დანაშაულის კვალი დაფარვის მცდელობის, ნივთების, მატერიალური ფასეულობების და სხვა გარემოებების ერთიან მოდელს. მაგალითად, გვამის პოზის, სისხლის კვალის ან იარაღის გამოყენების ნიშნების ანალიზით გამომძიებელი გონებრივად აღადგენს დამნაშავისა და დაზარალებულის მოქმედებებს, რომლებიც თითქოს „ასრულებენ“ შესაბამის ქმედებებს რეალურად აღმოჩენილი კვალის საფუძველზე (17).

აღნიშნული პროცესის ფორმირებისას ფსიქოლოგია მოქმედებს რამდენიმე განზომილებაში: შემთხვევის ადგილის გარემოს აღქმა; აღმოჩენილი კვალისა და ნივთიერი მტკიცებულებების გონებრივი ანალიზი; მათსა და დანაშაულებრივ მოვლენას შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა; შემთხვევის მოდელის გონებრივი კონსტრუქცია (11). ინფორმაციის მიღება საგნებისგან გულისხმობს ანალიტიკურ მუშაობას, რომლის მეშვეობითაც აღქმული კლასიფიცირდება, როგორც საქმისათვის არსებითი, მტკიცებულებითად მნიშვნელოვანი ან ინფორმაციულად ნეიტრალური.

ამ პროცესში გამომძიებლისთვის არსებით დახმარებას წარმოადგენს **რეფლექსიური აზროვნება**, რომელიც მოიცავს ისეთ პროცესებს, როგორიცაა სხვისი ცნობიერების ფენომენებში შეღწევა, მათი შეცნობა და საკუთარ შინაგან სამყაროში ამ მოვლენათა „მოდელირება“ (5). რეფლექსი მდგომარეობს იმაში, რომ გამომძიებელი გონებრივად საკუთარ თავს აყენებს სამართალდამრღვევის ან სხვა პირის ადგილას და, მისი ქცევის ანალიზის საფუძველზე, აკეთებს დასკვნებს საკუთარი განცდებისა და დამოკიდებულებების მიხედვით, ანუ განსაზღვრავს ოპონენტის ქცევის ხასიათს მოცემულ სიტუაციაში (12).

რეფლექსიური აზროვნების შინაარსიანობა განისაზღვრება იმ მონაცემებით, რომლებიც უკავშირდება დამნაშავის პიროვნებას, დანაშაულის ხასიათს, თავდასხმის ობიექტს და სხვა გარემოებებს. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას მიღებული ინფორმაცია შეიძლება ირიბად მიუთითებდეს დამნაშავის გარკვეულ ფსიქოლოგიურ თვისებებზე: მის გადაწყვეტილებადობასა თუ სიფრთხილეზე, სიმამაცესა თუ შიშზე, უნარებსა და ჩვევებზე, სისასტიკეზე, ცინიზმზე, აფექტურ აფეთქებებზე,

ფსიქიკის პათოლოგიაზე და სხვ. ამგვარი მონაცემების შესწავლა საშუალებას იძლევა დასკვნა გაკეთდეს დამნაშავის ქცევის ხასიათზე და შედგეს მისი „ფსიქოლოგიური პორტრეტი“.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას რეფლექსური აზროვნების გამოყენება მნიშვნელოვანი პირობაა ინფორმაციის ძიების მიმართულების, მტკიცებულებათა შეგროვების, ასევე კონკრეტული ტაქტიკური ხერხების შერჩევისათვის, ვინაიდან იგი ხელს უწყობს პროცესუალური მოქმედების სიტუაციის განსაზღვრას და, შესაბამისად, იმ ქმედებების არჩევას, რომლებიც ყველაზე მიზანშეწონილია.

დასკვნა

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ეტაპზე ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება, ერთ-ერთი ყველაზე მნიშნელოვანი და აუცილებელი ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს საგამოძიებო მოქმედების სრულფასოვნად ჩატარებას და კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე არსებული გარემოებების სრულფასოვნად და ამომწურავად დადგენასა და მათ შეფასებას.

ლიტერატურა:

1. გოგნიაშვილი ნ., კრიმინალისტიკა, ძირითადი საკითხები კითხვა-პასუხებით, ტესტებით, კაზუსებითა და პრაქტიკული სავარჯიშოებით., თბ.,2021წ. 182გვ.
2. **Белкин Р. С., Винберг А. И.** Криминалистика. Общетеоретические проблемы. М.: Юрид. лит., 1973. 264 с.
3. **Васильев В. Л.**Юридическая психология. СПб.: Питер Ком, 1998. 656 с.
4. **Головаха Е. И., Панина Н. В.** Психология человеческого взаимопонимания. Киев: Политиздат Украины, 1989.189 с.
5. **Губин А. С.** Осмотр места происшествия по делам об убийствах. Рига: Старт, 2007. 266 с.
6. **Бессонов А. А. Криминалистическая тактика : учебник. М. : Юрлитинформ, 2015. 200 с.**
7. **Еникеев М. И.**Юридическая психология: учебник. М.: НОРМА-ИНФРА, 1999. 517 с.
8. **Злобин С. Т.** Тактика осмотра места происшествия по делам об обнаружении трупа. Тверь: Арбалет, 2006. 312 с.
9. **Корма Д. В., Образцов В. А. Криминалистическое распознание: теория, метод, модели технологии : монография. М. : Юрлитинформ, 2014. 416 с.**
10. გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო., ავტ.კოლ. თბ. 2017., 134გვ.
11. **Коновалова В. Е.** Правовая психология. Харьков: Консум, 1997. 160 с.
12. Самыгин С.И., Столяренко В.Е., Столяренко Л.Д. Психология личности. Ростов н/Д .: Феникс, 2016. 636 с.
13. **Лукашевич В. Г.** Криминалистическая теория общения: постановка проблемы, методика исследования, перспективы использования. Киев: Украинская академия внутренних дел, 1993. 194 с.
14. **Мартинсон О. О.** Тактика осмотра места происшествия и трупа при расследовании корыстных убийств. Ростов:Профиль, 2006. 336 с.
15. **Поволокин И. С.** Тактика осмотра места происшествия. Караганда: Арал, 2007. 296 с.
16. **Психология**: словарь / под общ. ред. А. В. Петровского, М. Г. Ярошевского. 2-е изд., испр. и доп. М.: Политиздат,
1990. 494 с.

17. Ратинов А. Р. Судебная психология для следователей. М.: Юрлитинформ, 2001. 352 с.
18. Юсупов И. М. Психология взаимопонимания. Казань, 1991. 192 с.